ანალიტიკური წერა

I ვარიანტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

ქალაქში ორი საგანმანათლებლო ცენტრი ფუნქციონირებს: „სინათლე“ და „პროგრესი“.

საგანმანათლებლო ცენტრი „სინათლე“ წარმატებით უძღვება კომპლექსურ სასწავლო პროგრამებს. მთელი წლის განმავლობაში სკოლის მოსწავლეებს შეუძლიათ, დაესწრონ სააუდიტორიო მეცადინეობებს და გაიღრმავონ აკადემიური ცოდნა, პედაგოგებთან ერთად იმუშაონ კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე.

საგანმანათლებლო ცენტრი „პროგრესი“ სწავლა-სწავლების პროცესში ინოვაციურ მოდელებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებს იყენებს და მოსწავლეებს კარგად ორგანიზებულ სხვადასხვაგვარ ონლაინ კურსს სთავაზობს სასკოლო საგნებში, ძირითადად, არდადეგების პერიოდში.

როგორც აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ცენტრი მოსწავლეებს მაღალი ხარისხის მომსახურებას უწევდა, „პროგრესი“ მსურველთა რაოდენობით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა „სინათლეს“.

იმსჯელეთ, რა შეიძლება ყოფილიყო ის მიზეზები, რომელთა გამო საგანმანათლებლო ცენტრი „სინათლე“ უფრო მოთხოვნადი აღმოჩნდა, ვიდრე „პროგრესი“. ტექსტზე დაყრდნობით დაასახელეთ არსებითი არგუმენტები თქვენი აზრის დასასაბუთებლად.

იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

აქტიური სპორტი ხშირად სერიოზულ ტრავმებს იწვევს, ამიტომ სპორტის ზედმეტად პოპულარიზაცია არ არის მიზანშეწონილი.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემული საკითხის შესახებ. თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.